



“დიპლომირებული მედიკოსის” ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ვიზიტის განხორციელების თარიღი: 18-19 აგვისტო, 2025

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 24 სექტემბერი, 2025

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ირინე ფხაკაძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

თინათინ გოგნაძე, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

ჯოლია ნინო, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

2025 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
პროგრამის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა American MD (USMD) Program
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (დეტალური სფეროს დასახელებისა და კოდის მითითებით)	(0912 - მედიცინა) დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360 ECTS
ISCED-F-2013 დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 - მედიცინა
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	MES 4 21 0000654182 30.06.2021
აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	12/31/2027
აქტიური და სტატუს შეჩერებული ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობა	აქტიური:
	<input type="text" value="173"/>
აქტიური და სტატუს შეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	შეჩერებული:
	<input type="text" value="12"/>
აქტიური და სტატუს შეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური:
	<input type="text" value="222"/>
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	შეჩერებული:
	<input type="text" value="36"/>
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური:
	<input type="text" value="62"/>
	მათ შორის აფილირებული:

	<div style="border: 1px solid black; padding: 2px; margin-bottom: 5px;">61</div> მოწვეული:
	<div style="border: 1px solid black; padding: 2px; margin-bottom: 5px;">143</div> სამეცნიერო:
	<div style="border: 1px solid black; padding: 2px;">-</div>
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	
ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	400
აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში)	სტუდენტების ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა
	550

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

მაქსიმუმ 500 სიტყვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება №0971966 (11 აგვისტო, 2025) თანახმად შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); თინათინ გოგნაძე (წევრი); ნინო ჯოლია (წევრი, სტუდენტი). ჯგუფს დაევალოს თსსუ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის აკრედიტაციის სტანდარტებთან შემოწმება - სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გაზიარებული დოკუმენტაცია, პროგრამასთან აფილირებული მასალების პირველადი გაცნობის შემდეგ ჩატარებულ იქნა ონლაინ შეხვედრა ჯგუფის წევრებს შორის აზრთა გაზიარებისა და მოვალეობების გადანაწილების მიზნით. შეფასების პროცესი განხორციელდა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში 2025 წლის 18 და 19 აგვისტოს. ადგილზე ვიზიტის მიმდინარეობაში შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაიგეგმა ინტერვიუები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის ოთხი ალტერნატიული პროგრამა, მათ შორის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა გამოირჩევა აბიტურიენტთა რაოდენობის მზარდი ინტერესით, პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ, ინსტიტუცია გეგმავს აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა კვოტის გაზრდას 150 ადგილით (400-დან 550-მდე), დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 150-ით შემცირების ხარჯზე (2800-დან 2650 ადგილის განსაზღვრით), შედეგად უცვლელი დარჩება ერთი მხრივ, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამების ჯამური კვოტა და მეორეს მხრივ, ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი სტუდენტთა საერთო კვოტა.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამული აკრედიტაციის ყველა სტანდარტი შეაფასა სტუდენტთა კონტიგენტის ზრდასთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

მაქსიმუმ 500 სიტყვა

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამაა საქართველოში, რომლის კურსდამთავრებულთა მიღწევებს განაპირობებს ძლიერი საერთაშორისო პარტნიორის - ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის აქტიური ჩართულობა პროგრამის განხორციელებასა და მუდმივ განვითარებაში, განათლების ინტერნაციონალიზაციის მაღალი მაჩვენებელი.

პროგრამას გამოარჩევს სამედიცინო განათლებაში სწავლა-სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდოლოგიის დანერგვა, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უნიკალური შესაძლებლობა, კერძოდ 2-3 თვიანი ინტენსიური კლინიკური ტრენინგის შეთავაზება ემორის საუნივერსიტეტო კლინიკებში სრული დაფინანსების შესაძლებლობით.

პროგრამის 220 კურსდამთავრებულთა 27% დიპლომისშემდგომ განათლებას აგრძელებს ამერიკაში სარეზიდენტო პროგრამებზე, მხოლოდ 2024-2025 სასწავლო წელს 15 კურსდამთავრებული ჩაირიცხა ამერიკის სარეზიდენტო პროგრამებზე. გაზრდილია USMLE - ის საფეხურების ჩაბარების მაჩვენებელი, 2021 წელს პროგრამის კლინიკურ საფეხურზე მყოფი სტუდენტების მესამედს ჩაბარებული ჰქონდა აშშ სალიცენზიო გამოცდების პირველი საფეხური, ხოლო 2025 წლისათვის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთაგან პირველი საფეხური ჩაბარებული აქვს - 159-ს მეორე საფეხური - 81-ს მესამე საფეხური - 29-ს.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა გამოირჩევა სამედიცინო განათლებაში სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე ინოვაციური მეთოდოლოგიის დანერგვით, საზოგადოების წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის ნიშნით მიმდინარე კურიკულუმის გარე მდიდარი აქტივობებით, რაც სრულად ეხმარება ინსტიტუციის მესამე მისიას.

რეკომენდაციების შეჯამება¹

- რეკომენდაცია 1

რჩევების შეჯამება

- რჩევა 1

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)

- საუკეთესო პრაქტიკა 1

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ, მონიშნოთ ერთ-ერთი)

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის პროგრამაზე სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის პროგრამაზე სტუდენტთა მოთხოვნილზე ნაკლები ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

¹ საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის პროგრამაზე სტუდენტთა არსებული და არა მოთხოვნილი² ზღვრული რაოდენობის მისაღებად.

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

აღწერა:

მაქსიმუმ 500 სიტყვა



² იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის პროგრამაზე სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

შეფასეთ რამდენად აკმაყოფილებს ინსტიტუციის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:



აკმაყოფილებს



ნაწილობრივ აკმაყოფილებს



არ აკმაყოფილებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

1.1 პროგრამის მიზნები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გაცხადებული მისიაა:

- დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლებაში სწავლების, კვლევის და პროფესიული მზადების გზით ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება,
- მონაწილეობა მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის განხორციელებაში,
- კურსდამთავრებულების სისტემის აღჭურვა განვითარებასა ეროვნულ საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნით და უნარებით.

აღნიშნულს სრულად პასუხობს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (USMD), რომლის მიზანია:

„მომზადოს საერთაშორისოდ აღიარებული კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი, სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური ექიმები, რომელთაც სრულად აქვთ გააზრებული ვალდებულება პაციენტებისა და საზოგადოების წინაშე, იზიარებენ ეთიკური ღირებულებების (თანაგრძნობისა და ტოლერანტობის) პრინციპებს, აღიარებენ კვლევის მნიშვნელოვან როლს ჯანდაცვის სისტემის განვითარებისათვის, მზად არიან დიპლომისშემდგომი განვითარებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის“.

პროგრამის სწავლის შედეგები (კმ) ეფუძნება მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს და შესაბამისობაშია კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი დონით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი მიაღწევს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად. სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან, მიღწევადია, რეალისტური და გაზომვადია, ექვემდებარება პერმანენტულ რევიზიში შეფასებას. უნივერსიტეტში შემუშავებულია თსსუ-ის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“, „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი“.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის დირექტორის ადმინისტრაციულ ოფისთან ერთად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და უწყვეტი განვითარების პროცესების სისტემურ მხარდაჭერას, მათ შორის პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების მიმდინარეობაში დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობას მათი ინტერესების გათვალისწინებით. როგორც საუკეთესო პრაქტიკა, აღნიშნული პროცესი მხარდაჭერილია საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტის (ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა, აშშ) აქტიური ჩართულობით, ემორის სკოლის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგების და შრომის ბაზრის შედეგების გათვალისწინებით.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. მუდმივად ფასდება პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების განაწილება, პროგრამის კურსდამთავრებულთა საშუალო GPA, USMLE - ის საფეხურების ჩაბარების მაჩვენებელი, ინსტიტუციის მიერ პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში წარმოდგენილია აღნიშნული მონაცემების 2021-2025 წლების დინამიკა.

პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტურობის და მიღწევადობის შეფასების ინსტრუმენტად გამოიყენება კურიკულუმის რუკა, რომლის საშუალებითაც ვლინდება თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში, რუკაში აისახება სასწავლო კურსით პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების სამი დონე- გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება, ასევე პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამივე დონეზე განვითარების შესაძლებლობა. რუკის ანალიზით დგინდება პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები.

პროგრამის დასასრულს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ასახულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში („შემაჯამებელი მოდული - ინტერდისციპლინური კორელაციები“.

მე-7 სემესტრის ბოლოს აჯამებს ბაზისურ და პრეკლინიკურ ფაზაში დაგროვილ ცოდნას, ფსიქომოტორული და დამოკიდებულების (attitudes) (უნარები და პასუხისმგებლობა და ინიციატივიანობა) დომეინები, პროგრამის განმტკიცების ფაზის შედეგები ფასდება სუბინტერნშიფის კლერკშიფებში მე-10-12 სემესტრებში.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურია, დაფუძნებულია ინტეგრაციის პრინციპზე, სასწავლო კურსების მოცულობა და კრედიტების თანაფარდობა, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა (1 ECTS - 30 საათი), საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის სპეციფიკას, გამოყენებულ სწავლებისა და სწავლის მეთოდებს.

პროგრამა მოიცავს ორი ძირითადი ეტაპის პრეკლინიკური და კლინიკური ეტაპების შემდეგ ფაზებს:

პრეკლინიკური ეტაპის ფაზებია:

- მოსამზადებელი/პრესამედიცინო ფაზა (Premedical)
- მედიცინის საფუძვლების ფაზა (Foundations of Medicine)
- ჯანმრთელი ადამიანი (Healthy human)
- ადამიანის დაავადებები (Human Diseases).

კლინიკური ეტაპის ფაზებია:

- სამედიცინო მეცნიერებების გამოყენების ფაზა (Applications of Medical Sciences Phase).
- ტრანსლაციის ფაზა (Translation of Medical Sciences Phase).
- აღმოჩენის ფაზა (Discovery Phase).

პროგრამის აღნიშნული ფაზების მიმდინარეობაში ვერტიკალურადაა ინტეგრირებული სასწავლო კურსი „გახდი ექიმი“, უკანასკნელი დიაგნოსტიკის პრინციპების, ეთიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური საკითხების შესწავლის პარალელურად უზრუნველყოფს კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და გაღრმავებას. კვლევითი უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული სასწავლო კურსები: სამეცნიერო კვლევის მეთოდები, მტკიცებითი მედიცინის საფუძვლები, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სოციოლოგიის საკითხები, რაც ერთიანობაში წარმოადგენს დამოუკიდებელი სამეცნიერო ნაშრომის/პროექტის წინაპირობას.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

სასწავლო კურსები ორგანიზებულია თანმიმდევრულად, ლოგიკური ინტეგრაციის ფარგლებში წინაპირობებით დაცულია მემკვიდრეობითობა, გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია კომპონენტების შინაარსთან და გათვალისწინებულია მათი სპეციფიკა.

თითოეული კურსის მიზნები, შინაარსი, კურსის შედეგები და მათი მიღწევის გზები განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით. უკანასკნელი იძლევა გამჭვირვალე ინფორმაციას სტუდენტის შეფასების წესის შესახებ, რაც დაფუძნებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძ. №3-ს მოთხოვნებზე.

ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია, ადეკვატური შეფასების მიზნით გამოიყენება მრავალკომპონენტური შეფასება, თანამედროვე მეთოდების ჩათვლით. სტუდენტის შეფასების

კრიტერიუმები გამჭვირვალეა, დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ მიღებული შეფასება.

ადმინისტრაციასთან, პროგრამის ადმინისტრირებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელ ჯგუფთან, პერსონალთან ინტერვიუებამ აჩვენა, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა უზრუნველყოფილია გამოცდილებაზე დაფუძნებული პრაქტიკებითა და მდგრადი მექანიზმებით.

თსსუ სტრატეგიული განვითარების გეგმით 2025-2031 წლებში დაგეგმილია: ხარისხის უზრუნველყოფაში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვის გაძლიერება და შესაბამისი ახალი მექანიზმების შემუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით შეფასების შემდგომი გაუმჯობესება; პროგრამების არაპირდაპირი მეთოდით შეფასებისთვის მონაცემთა ბაზის (სტუდენტების მიღწევების შედეგზე ორიენტირებულ დავალებები, აქტივობები, სტუდენტთა კმაყოფილების, სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ა.შ.) გაფართოება, რაც რეალური ხელშემწყობი ფაქტორებია მიღწეული შედეგების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის, განსაკუთრებით სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის პირობებშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი
- თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ადმინისტრაციისა და სტუდენტების ინიციატივებით განხორციელებული აქტივობები
- ინტერვიუს შედეგები

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- რეკომენდაცია 1

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- რჩევა 1

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

2.4 სტუდენტების შეფასება

შეფასეთ რამდენად აკმაყოფილებს ინსტიტუციის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას — უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები რეგულარულად განახლებადია და დაინტერესებულ პირებისთვის შეთავაზებულია ამომწურავი და სრულყოფილი ინფორმაცია.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მიღების წინაპირობა გამჭვირვალეა და მოიცავს შემდეგ პირობებს:

- სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების მქონე პირის (ფლობს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტს) ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე განსაზღვრული ბარიერებია: ინგლისურ ენაში 85%+1, ქართულ ენასა და ლიტერატურაში - 75%+1, ბიოლოგიაში, ქიმიაში, ფიზიკასა და მათემატიკაში - 75%+1.

- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე სწავლის უფლება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონით“ შემდეგი პირობებისათვის:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

- საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამაზე მიღების პირობა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების აპლიკანტების შერჩევას, რაც ხელს უწყობს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის ფარგლებში.

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას გამოარჩევს ზოგად განათლებასა და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები, კაცობრიობის შემოქმედების ფარგლებში მსოფლიო ლიტერატურა, ცივილიზაციების ისტორია ხელოვნების ისტორიის ჩათვლით, ასევე ფსიქოლოგიის შესავალი და უცხოური ენები. არჩევითი სასწავლო კურსების სახით შეთავაზებულია აშშ-ის ისტორია, სამედიცინო ანთროპოლოგია, სოციოლოგიის საფუძვლები, ფილოსოფია. 2023-2024 სასწავლო წლიდან ასევე არჩევითი კურსის სახით დამატებით დაინერგა ინტერდისციპლინური „ფიუზინგი-მინის დამუშავების ტექნოლოგია“ და „მინანქარი -საიუველირო საქმე“.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა სწავლების ადრეული ეტაპიდანვე თანმიმდევრულად, ჯერ პრეკლინიკურ, შემდეგ კი კლინიკურ ფაზაში სპირალური ინტეგრაციის სახით უზრუნველყოფს, როგორც პრაქტიკული, ასევე კვლევითი უნარების გამომუშავებას მედიცინის დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისად.

კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას პროგრამის მიმდინარეობაში დანარჩენ კლინიკურ დისციპლინებთან ერთად უზრუნველყოფს „გახდი ექიმის (1-7)“ კურსი. პრეკლინიკურ ფაზაში კლინიკური უნარ-ჩვევები ვითარდება უმეტესწილად სიმულაციური პაციენტების მეშვეობით, ამასთანავე კლინიკებში რეალური პაციენტების შემთხვევებში, ხოლო კლინიკურ ფაზაში, განსაკუთრებით ძირითად კლერკშიფებში აღნიშნული თანაფარდობა იცვლება და სტუდენტებს უმეტესად ურთიერთობა აქვთ რეალურ პაციენტთან.

სამეცნიერო უნარების განვითარებას პროგრამაში ემსახურება (17 ECTS) სასწავლო კურსები: აკადემიური წერა, პროფესიული განვითარების კურსში შემავალი სამეცნიერო უნარები, სამეცნიერო კვლევის საფუძვლები, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა, „გახდი ექიმის“ სასწავლო კურსის ფარგლებში ბიოეთიკისა და მტკიცებითი მედიცინის კომპონენტები. პროგრამის მიმდინარეობაში გათვალისწინებულია მცირე კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტები (ესე, რეფერატი, PICO - პრეზენტაციები). აღნიშნული კურსების ათვისების შედეგად სტუდენტები მუშაობენ სამეცნიერო მონაცემთა ბაზების შექნაზე, იყენებენ ბაზის ანალიზის სხვადასხვა სისტემებს,

ფლობენ რა სამეცნიერო პროექტის დიზაინის მიმოხილვის უნარ-ჩვევებს, სტუდენტები ერთვებიან მათი კვლევითი და პრაქტიკული უნარების განმავითარებელ პროექტებში, კვლევებით მიღებული მონაცემების საფუძველზე შედეგებს წარადგენენ პრეზენტაციის სახით. შეფასებული ინოვაციური პროექტები შეიძლება პუბლიკაციის სახით გამოქვეყნდეს ლოკალურ ან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

ტრანსფერული უნარების განვითარებას ხელს უწყობს მცირე ჯგუფის კოორდინატორების ჩართულობა, თითოეული ინდივიდუალური მრჩეველი/მენტორი პასუხისმგებელია 2 მცირე ჯგუფზე, ისინი ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ სტუდენტთან პიროვნული და პროფესიული განვითარების მიზნით.

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

ამერიკულ პროგრამას გამოარჩევს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, თეორიული და პრაქტიკული სწავლების მაღალი ინტეგრაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. პრეკლინიკურ ეტაპზე სტუდენტების ჩართულობას უზრუნველყოფს ინტერაქტიული ლექციები, როლური თამაში; „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდი, გუნდზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსიები, აღნიშნულს აძლიერებს შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL). სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კლინიკური უნარ-ჩვევების და სიმულაციების ცენტრი, რასაც კლინიკურ ეტაპზე ემატება პაციენტის საწოლთან სწავლება (bedside teaching), როგორც პროგრამის პრიორიტეტული მეთოდი.

ვიზიტის მიმდინარეობაში გამოვლინდა, რომ USMD პროგრამა მზადაა გაზრდილი სტუდენტური ქვოტის პირობებშიც შეუფერხებლად განახორციელოს აღწერილი მეთოდები და პრაქტიკები.

2.4 სტუდენტების შეფასება

უნივერსიტეტს გააჩნია სრულად სტრუქტურირებული და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა განათლების უწყვეტობასა და ხარისხს გაზრდილი კვოტის შემთხვევაშიც.

სტუდენტთა შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (Bologna Process) რეკომენდაციებთან. უნივერსიტეტი იყენებს ECTS სისტემას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას და მობილობის ხელშეწყობას. შეფასების შკალა (A-F, FX) და კრედიტების განაწილების მკაფიო კრიტერიუმები ემყარება საერთაშორისო პრაქტიკას.

სტუდენტების ცოდნის შეფასება მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძ. №3-ს მოთხოვნების შესაბამისად,

გამოყენებულია გამჭვირვალე კრიტერიუმები, დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.

შეფასება ეფუძნება ძირითად პრინციპებს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ მიღებული შეფასება.

სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ, საგამოცდო შეფასებას და საბოლოო შეფასებებს; პროგრამაში სტუდენტთა უნარ-ჩვევებისა და დაგროვილი ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება: ზეპირი გამოკითხვა, ესეს ტიპის, მოდიფიცირებული ესეების ჩეკლისტები (MEQs), MCQs (სავარაუდოპასუხებიანი კითხვები), EMQ (ვრცელი შესაბამისობის დამდგენი ფორმატის), პროექტები, სამეცნიერო სტატიები, შეფასების შკალები, პაციენტების ისტორიები, OSPE, OSCE, შემთხვევის მოკლე შეფასება და შემთხვევის ვრცელი/სიღრმისეული შეფასება, ჟურნალი/დღიური, დამკვირვებელთა მოხსენებები, თვითშეფასება, კლინიკურ ფაზაში მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება (WPBA-workbased place assessment) და მისი კომპონენტები - Mini-CEX (მინი-კლინიკური შეფასების სავარჯიშო), SCO (სტრუქტურირებული კლინიკური დაკვირვება), DOPS (პროცედურულ უნარებზე უშუალო დაკვირვება), CBD (რეალური შემთხვევის (მაგ. პაციენტის რეალური ისტორია), OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა).

პროფესიონალიზმის შეფასების მიზნით პროგრამის პრეკლინიკურ ნაწილში ფასდება სტუდენტის პროფესიონალური ქცევა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების დასწრების მაჩვენებელს პროგრამით დაგეგმილ აქტივობებზე, პუნქტუალობის, კონკრეტული დავალების დაგეგმილ დროში შესრულების, ეთიკური ქცევის, პროგრამის პერსონალთან კომუნიკაციის, სტუდენტებთან ურთიერთობის და ა.შ. კომპონენტებს.

კლინიკური სწავლების ფაზაში პროფესიონალური ქცევის შეფასების მიზნით ფასდება ანგარიშვალდებულება, თვითგანვითარებაზე ზრუნვა, თანაგრძნობა, პატივისცემა, გუნდური მუშაობის კულტურის გაცნობიერება, სამოქალაქო პასუხისმგებლობა კერძოდ, სტუდენტების მოხალისეობრივი მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში. სტუდენტები მცირე ჯგუფის კოორდინატორებისგან რეგულარულად იღებენ ინფორმაციას მათი განვითარებისა და პროგრესის შესახებ. კლერკშიფის დასრულების შემდეგ, კურსის ხელმძღვანელი წერილობითი სახით წარმოადგენს თითოეული სტუდენტის მოკლე დახასიათებას, წარმოდგენილი დასკვნა სტუდენტის მიღწევების შეფასების დოკუმენტის ნაწილი ხდება.

შეფასების სისტემისადმი სტუდენტების ჩართულობა ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. გამოკითხვებში მონაწილეობა) დაბალია, რაც ინტერვიუების დროს სტუდენტებმა ემოციური დისტანცირებით ახსენეს. თუმცა ადმინისტრაციასთან და ედვაიზორებთან კონსულტაციებში მათი ჩართულობა მაღალია, რაც ადასტურებს ინფორმაციის ეფექტიან მიწოდებასა და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას. სტუდენტების მოთხოვნები – მაგალითად, გამოცდების პასუხების განხილვა – რესურსულად და კონფიდენციალურობის კუთხით გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა უნივერსიტეტი ცდილობს ალტერნატიული ფორმებით პასუხის გაცემას.

მნიშვნელოვანი დადებითი ასპექტებია:

- მეთოდების მრავალფეროვნება, მათ შორის მილერის პირამიდაზე დაფუძნებული მიდგომები;
- პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტების თანამედროვე შეფასების ინსტრუმენტები;
- პროფესიონალიზმის კომპონენტის ინტეგრაცია: დასწრება, პუნქტუალობა, ეთიკა, გუნდური მუშაობა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა;
- უკუკავშირის მექანიზმები – ზეპირი და წერილობითი ფორმებით, მათ შორის ინდივიდუალური შეფასება კლერკშიფის დასრულების შემდეგ;
- ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვა (2023-2024), რაც უწყობს ხელს პროგრესის მონიტორინგსა და სუსტი მხარეების გამოვლენას;
- EPA-ს (Entrustable Professional Activities) პილოტური დანერგვა, რაც სტუდენტის დამოუკიდებელ პროფესიულ პასუხისმგებლობაზეა ორიენტირებული და სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ინსტიტუციის რესურსები სრულად საკმარისია გაზრდილი სტუდენტური ნაკადის მართვისთვის. პატარა ჯგუფების ედვიაზორების სისტემა, რომელიც ამ პროგრამის უნიკალურობად მიიჩნევა, უკვე აპრობირებულია და გაზრდილი სტუდენტების რაოდენობასთან ერთად მათი რაოდენობაც პროპორციულად მოიმატებს. როგორც ედვიაზორები, ისე კურსდამთავრებული სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული პროცესში.

მრავალსაფეხურიანი, თანამედროვე და საერთაშორისო რეკომენდაციებთან შესაბამისი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტუდენტთა მიღწევების ობიექტურ ანალიზს, ისე განმავითარებელი უკუკავშირის შესაძლებლობას, ეფექტიანად ფუნქციონირებს სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც და სრულად უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების შენარჩუნებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- დაწესებულების ვებგვერდი
- თსსუ სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი https://tsmu.edu/ts/images/dxp/171759803_1717598033.pdf;
- თსსუ-ის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში გამოცდის ჩატარების წესი <https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1425>;
- დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დებულება https://tsmu.edu/ts/images/dxp/Tbilisis_saxelmwifo_samedicino_universitetis_diplomirebuli_medikosis_amerikuli_programis_debuleba_6880db7da2b7d.pdf;
- ინტერვიუების შედეგები

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- რეკომენდაცია 1

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- რჩევა 1

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

შეფასეთ რამდენად აკმაყოფილებს ინსტიტუციის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს ნაწილობრივ აკმაყოფილებს არ აკმაყოფილებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები სრულ შესაბამისობაშია როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის რეკომენდაციებთან და ქმნის მყარ საფუძველს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოსთვის.

პოზიტიური ასპექტებია:

- მცირე ჯგუფების ედვოკატივის სისტემა – პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარეა. თითოეული ედვოკატივი დაახლოებით 25 სტუდენტზეა პასუხისმგებელი და უზრუნველყოფს როგორც გეგმიურ, ასევე საჭიროების შემთხვევაში დამატებით ინდივიდუალურ შეხვედრებს. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ეს სისტემა მაქსიმალურად მორგებულია მათ საჭიროებებზე. კვლევის გაზრდის შემთხვევაში ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ედვოკატივთა რაოდენობის პროპორციულ ზრდას, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შეინარჩუნოს ხარისხი და ხელმისაწვდომობა.

- მრავალმხრივი საკონსულტაციო მექანიზმები – სტუდენტებს საშუალება აქვთ კონსულტაციები მიიღონ პირისპირ შეხვედრების, ელ-ფოსტის, ლექციის შემდგომი ინდივიდუალური შეხვედრების ან ონლაინ კომუნიკაციის გზით. ეს მოქნილი სისტემა ზრდის ხელმისაწვდომობას და ამცირებს საკონსულტაციო საათებზე გადატვირთვის რისკს.
- კარიერული მხარდაჭერა – სტუდენტებს მიეწოდებათ კონსულტაციები სტაჟირების, კარიერული განვითარების, CV-სა და სამოტივაციო წერილის შედგენის, ასევე რეზიდენტურაში მოსამზადებელი უნარების განვითარებისთვის. განსაკუთრებული როლი აქ მცირე ჯგუფის კოორდინატორებს და მოწვეულ ამერიკელ პარტნიორებს აქვთ.
- სტუდენტთა მონაწილეობა და უკუკავშირის მექანიზმები – პირველკურსელებთან ორიენტაციული შეხვედრები, სემესტრული შეხვედრები ყველა სტუდენტთან, ასევე გამოკითხვების შედეგების საფუძველზე ჩატარებული follow-up სესიები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ სტუდენტების აქტიურობა გამოკითხვებში დაბალია, მაღალია მათი ჩართულობა უშუალო კომუნიკაციაში ედვიაზორებთან და ადმინისტრაციასთან, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადაცემის და უკუკავშირის ეფექტურობას.
- კურიკულუმის გარეშე და სოციალური მხარდაჭერა – პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ინტეგრაციას ქართულ გარემოში (ქართული ენის სწავლება, კულტურული ღონისძიებები), სპორტულ და შემოქმედებით აქტივობებში ჩართვას, სტუდენტური კლუბებისა და მენტორობის სისტემის განვითარებას. ეს ქმნის თანადგომასა და პროფესიული ზრდის დამატებით შესაძლებლობებს.
- ინფრასტრუქტურული და რესურსული უზრუნველყოფა – სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, სტუდენტური სივრცეები, სპორტული დარბაზი, ასევე ელექტრონული პლატფორმები საკონსულტაციო და სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად.
- პრაქტიკული და კლინიკური რესურსები – უნივერსიტეტს ჰყავს საკმარისი კლინიკური მენტორები და ექიმები, რაც ზრდის შემთხვევაშიც უზრუნველყოფს ხარისხიან კლინიკურ განათლებას.

ქვესტანდარტი 3.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, ამასთანავე, საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისების მართვაში ინსტიტუცია აჩვენებს სისტემურ და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც მოიცავს ედვიაზორების პროპორციულ ზრდას, მრავალარხიან საკომუნიკაციო სისტემას და აკადემიურ-ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიან გადანაწილებას. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც უნივერსიტეტი სრულად შეძლებს მაღალი ხარისხის მხარდაჭერისა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შენარჩუნებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება <https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1347>;
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესი <https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1149>;
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი <https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1387>;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტების გზამკვლევი;

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა https://tsmu.edu/ts/images/dxp/170962682_1709626822.pdf;
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის დებულება [https://tsmu.edu/ts/content/2/50/261/0/0/0](https://tsmu.edu/ts/content/2/50/261/0/0/0;);
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება https://tsmu.edu/ts/images/dxp/16901081_1690108111.pdf
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულება https://tsmu.edu/ts/images/dxp/1715762689_1715762689.pdf;
- თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დებულება <https://tsmu.edu/ts/content/2/50/261/0/0/0/>;
- ამერიკული პროგრამის სტუდენტების აქტივობები 2023-2025;
- ინტერვიუები ვიზიტის დროს.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- რეკომენდაცია 1

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- რჩევა 1

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

- 4.1 ადამიანური რესურსი
- 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია
- 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
- 4.4 მატერიალური რესურსი
- 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

შეაფასეთ რამდენად აკმაყოფილებს ინსტიტუციის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

4.1 ადამიანური რესურსი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ფლობს კარგად ჩამოყალიბებულ ადამიანური რესურსების მართვის სისტემას, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ დაგეგმვას და იურიდიულად მოწესრიგებულ დოკუმენტებს. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით, მკაცრი კვალიფიკაციური მოთხოვნებით, რაც განსაკუთრებით ეხება ინგლისური ენის B2+ დონის ცოდნას და კლინიკური გამოცდილების ხანგრძლივობას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 62 აფილირებული პერსონალი და 147 მოწვეული მასწავლებელი, ასევე 4 უცხოელი პროფესორი, 40 ადმინისტრაციული პერსონალი.

პროგრამაზე დღეისათვის სტუდენტი/პედაგოგი თანაფარდობა შეადგენს 1:1.9-ს, კვოტის მატების შემდეგ ეს მაჩვენებელი იქნება 2.26:1, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნას.

პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში იგეგმება პროგრამაში 34 ახალი აფილირებული პერსონალის ჩართვა, რაც ადეკვატურად პასუხობს გაზრდილი კონტინგენტის მომსახურების საჭიროებებს. ინსტიტუციამ წარმოადგინა პერსონალის პირადი საქმეები. პერსონალის ყველა პოზიციის წარმომადგენელს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ემორის უნივერსიტეტთან პარტნიორობა უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და პერსონალის მუდმივ პროფესიულ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ 45-მდე თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი ემორის სამედიცინო სკოლაში.

მიუხედავად იმისა, რომ მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შედარებით მაღალია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბალანსი (1:2.4) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ინსტიტუცია დემონსტრირებს სისტემურ მიდგომას, გამჭვირვალე პროცედურებს და რეალისტურ გეგმებს კონტინგენტის გაზრდისთვის, რაც სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს ადამიანური რესურსების ადეკვატური უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

უნივერსიტეტში პროფესიული განვითარების სისტემა კომპლექსური და მრავალმხრივია. ფუნქციონირებს კარგად ორგანიზებული შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს როგორც ადმინისტრაციის, ისე სტუდენტების მიერ ანონიმურ შეფასებას. ეს ორმხრივი მიდგომა უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის ობიექტურ ანალიზს და შემდგომი განვითარების მიმართულებების იდენტიფიკაციას.

პროფესიული განვითარების სისტემა მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს. მასწავლებელთა გადამზადების ცენტრსა და აკადემიური განვითარების ცენტრში რეგულარულად ტარდება სპეციალიზირებული ტრენინგები, რომლებიც ფარავს სამედიცინო განათლების ყველა კრიტიკულ ასპექტს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდულები, რომლებიც მოიცავს: სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მიდგომებს, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის მეთოდოლოგიას, შემთხვევაზე დაფუძნებულ კლინიკურ აზროვნებას და სამეცნიერო გრანტების წერის მეთოდოლოგიას.

უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი მიღწევაა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის რეგიონული ოფისის გახსნა, რაც უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. ამ ცენტრის მეშვეობით ჩატარდა 20 სხვადასხვა ESME კურსი, რომლებიც გაიარა 300-მდე მონაწილემ სამი ქვეყნიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 70 მონაწილემ მოიპოვა AMEE-ის სპეციალისტის სერტიფიკატი, მათ შორის 50 თსსუ-ის თანამშრომელმა, ხოლო ამერიკული პროგრამის პერსონალიდან 21-მა გაიარა ტრენინგები და 20-მა მოიპოვა სერტიფიკატი.

პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლები დემონსტრირებს განსაკუთრებულ პროდუქტიულობას. ბოლო ხუთი წლის მანძილზე იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში დაბეჭდილია 319 სტატია, რეფერირებად საერთაშორისო პერიოდიკაში 446 პუბლიკაცია, გამოცემულია 32 მონოგრაფია და 17 თავი საერთაშორისო წიგნებში. ეს მაჩვენებლები მიუთითებს პერსონალის მაღალ კვალიფიკაციაზე და აქტიურ ჩართულობაზე სამეცნიერო საქმიანობაში.

ემორის უნივერსიტეტთან პარტნიორობა ითვლება პროგრამის კონკურენტულ უპირატესობად. 2012 წლიდან დღემდე 45-მდე აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა გაიარა სხვადასხვა ხანგრძლივობის ტრენინგი ემორის სამედიცინო სკოლაში. ყველა ძირითადი კლერკშიფის ხელმძღვანელი პირადად იყო ემორის კლინიკებში, რაც უზრუნველყოფს ამერიკული სტანდარტების დანერგვას პროგრამაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება "გახდი ექიმის" კურსის შემუშავებას, რომელიც წარმოადგენს პროგრამის სავიზიტო ბარათს და რის დაგემაშიც ამერიკელი კოლეგების უშუალო მონაწილეობდნენ.

საერთაშორისო ინტეგრაცია და პარტნიორობები მოიცავს 120-ზე მეტ უნივერსიტეტს 40-ზე მეტი ქვეყნიდან. ყოველწლიურად 300-მდე სტუდენტი, რეზიდენტი და პერსონალი მონაწილეობს მობილობის პროგრამებში, რაც ხელს უწყობს ცოდნისა და გამოცდილების მუდმივ განახლებას. უნივერსიტეტი წევრია ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციებისა, როგორც AMEE, EUA, IAUP, EMSA და ESRUC.

კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა ვრცელდება ყველა მიმართულებით. პერსონალი ხელმძღვანელობს 33 საგრანტო კვლევას, მონაწილეობს 57 პროექტში, არის 30 საერთაშორისო

ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და 109 საერთაშორისო პუბლიკაციის რეცენზენტი. ეს მაჩვენებლები მოწმობს პერსონალის მაღალ აღიარებას საერთაშორისო სამეცნიერო თემში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თსსუ რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს კვლევებზე, ხოლო მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მათ საქმიანობას უმაღლესი ქულით აფასებს. SCOPUS ბაზაში უნივერსიტეტის მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგებში პოზიციები ადასტურებს კვლევითი საქმიანობის ხარისხს.

სტუდენტთა რაოდენობის გაზრდისთვის უკვე ჩამოყალიბებულია სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი პერსონალის ეფექტურ ინტეგრაციას და პროფესიულ განვითარებას. 2025 წლის სექტემბერში დაგეგმილია შემდგომი ვიზიტი ემორის უნივერსიტეტში, რაც გაგრძელდება პარტნიორობას და ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

ქვესტანდარტი 4.3 მაქსიმალურად აკმაყოფილებს სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნებს, ინსტიტუცია დემონსტრირებს სისტემურ, მრავალფეროვან და საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებულ მიდგომას პერსონალის პროფესიული განვითარებისადმი, რაც სრულად უზრუნველყოფს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც ხარისხიანი განათლების მიწოდების შესაძლებლობას.

4.4 მატერიალური რესურსი

ინსტიტუცია ფლობს ვრცელ და მრავალფეროვან მატერიალურ ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს 30 საკადასტრო ერთეულზე განლაგებულ უძრავ ქონებას საერთო ფართობით 115,323.80 კვ.მ. საკუთრებაში მყოფ შენობებს თან ერთვის 5 კლინიკა და 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო, კლინიკური და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. სასწავლო ფართი შეადგენს 40,975.2 კვ.მ-ს, ხოლო აფილირებულ და ხელშეკრულებით დაკავშირებულ კლინიკებთან ერთად საერთო სასწავლო ფართი იწყება 117,225.91 კვ.მ-ს. ამერიკული პროგრამისთვის ხელმისაწვდომია თსსუ-ის სრული სასწავლო ფართი (40975.2კვ.მ), ხოლო აფილირებული და ხელშეკრულებით დაკავშირებული კლინიკების ფართიდან ამერიკული პროგრამა იყენებს 19650.27 კვ.მ. ჯამური სასწავლო ფართია $40975.2+19650.27=60625.47$ კვ.მ.

2018 წლიდან განხორციელებული განვითარების პროგრამები მოიცავს მე-5 სასწავლო კორპუსის (2,663.6 კვ.მ) აშენებას, ახალი ბავშვთა საავადმყოფოს (2,511.7 კვ.მ) მშენებლობას და მე-2 სასწავლო კორპუსის (6,880 კვ.მ) სრულ რეაბილიტაციას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე, მოწყობილია ლიფტები, პანდუსები და სპეციალური სანიტარული კვანძები.

ბიბლიოთეკის რესურსები აღემატება 368,791 ერთეულს და მოიცავს სამკითხველო დარბაზებს 186 ადამიანისთვის, ჯგუფური მუშაობის სივრცეებს 94 სტუდენტისთვის და კომპიუტერულ ოთახებს 31 კომპიუტერით. გამოწერილია პრესტიჟული ელექტრონული ბაზები, მათ შორის WHO-ს Research4life პროგრამის HINARI, ProQuest Ebook Central და Elsevier-ის ოთხი მონაცემთა ბაზა. ელექტრონულ სერვერზე ატვირთულია 1,122 ელექტრონული წიგნი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

საინფორმაციო ტექნოლოგიები მოიცავს 1,037 დესკტოპ კომპიუტერს, 908 ლეპტოპს, 399 მულტიფუნქციურ სისტემას და 257 მულტიმედია პროექტორს. 2025 წელს მთლიანად განახლდა ქსელური ინფრასტრუქტურა და შეძენილი იქნა 3 მძლავრი სერვერი მონაცემთა საცავებით. ინტერნეტთან კავშირი უზრუნველყოფილია 400 მბიტ/წმ გლობალური სიჩქარით. ფუნქციონირებს სასწავლო პროცესების მართვის სისტემა (LMS), ელექტრონული საგამოცდო სისტემა 212 სტუდენტისთვის ერთდროულად და სხვადასხვა სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფა.

კლინიკური უნარ-ჩვევებისა და სიმულაციების ცენტრი აღჭურვილია კომპიუტერიზებული მაღალი სარწმუნოების სიმულატორებითა და ელექტრონული სასწავლო პროგრამებით. "გახდი ექიმის" სასწავლო ოთახები დაკომპლექტებულია მრავალფუნქციური დიაგნოსტიკური ნაკრებებითა და ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემით OSCE გამოცდების ჩასატარებლად.

კლინიკური ბაზები მოიცავს 5 საკუთარ კლინიკას და 18 აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებას ხელშეკრულების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კლინიკური სწავლების მრავალფეროვნებას და ხარისხს. ყველა ობიექტს გააჩნია შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვა, ცენტრალური ვენტილაცია-კონდიციონირების სისტემები და ბუნებრივი-ხელოვნური განათების შესაძლებლობები.

სტუდენტთა რაოდენობის 150-ით გაზრდის შემთხვევაში არსებული მატერიალური რესურსები სრულად უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიწოდებას. ამერიკული პროგრამისთვის ხელმისაწვდომი სასწავლო ფართი (60,625.47 კვ.მ) გაზრდილი კონტინგენტისთვისაც ადეკვატურია. ასევე მიმდინარეობს ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რაც შემდგომ განვითარებას უზრუნველყოფს.

რეგულარულად ტარდება პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილების კვლევები ინფრასტრუქტურის ხარისხთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც ხორციელდება განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. ეს სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს რესურსების ეფექტურ გამოყენებას და მუდმივ გაუმჯობესებას.

ვიზიტის დროს განხორციელდა 2 საუნივერსიტეტო კლინიკის დათვალიერება „პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა“ და „ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის საუნივერსიტეტო კლინიკა“, ასევე ექსპერტთა მიერ ნანახი იქნება უნივერსიტეტის სივრცეში სასწავლო ფართი, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი. კლინიკებში სასწავლო ფართი სრულად არის აღჭურვილი სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელებისთვის საჭირო ყველა ინვენტარით. სუპერვაიზორები და მენტორები ჩართულები არიან სწავლის პროცესში წინასწარი განაწილებული ცხრილების მიხედვით, რაც დადასტურდა კიდევ ვიზიტის დროს მათთან გასაუბრებით. მენტორებისა და სასწავლო ფართის რაოდენობიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი ვერ ხედავს ვერანაირ რისკს მოთხოვნილი 150 სტუდენტის გაზრდის შემთხვევაში პროგრამის განხორციელებაში.

ქვესტანდარტ 4.4 "მატერიალური რესურსი" სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. ინსტიტუცია ფლობს ადეკვატურ, თანამედროვე და მრავალფუნქციურ მატერიალურ ინფრასტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ზღვრული

რაოდენობის გაზრდის პირობებშიც ხარისხიანი სამედიცინო განათლების ყველა კომპონენტის ეფექტურ განხორციელებას.

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი დინამიკით. 2025 წლისთვის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 9,676,180 ლარს, რაც ღრმა ზრდას მიუთითებს გასული წლების მანძილზე. მხოლოდ 2015 წელს პროგრამის შემოსავალი იყო 293,426.88 ლარი, რაც ნიშნავს რომ 10 წლის განმავლობაში მან 33-ჯერ ზრდა განიცადა. ეს თვალსაჩინო პროგრესი მოწმობს პროგრამის მდგრადობასა და განვითარების პოტენციალზე.

პროგრამის ხარჯების სტრუქტურა ბალანსირებულია და რაციონალურად განაწილებულია. 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული 5,959,456 ლარი ფარავს ყველა აუცილებელ ხარჯს, რომელიც შედგება შრომის ანაზღაურებისგან (1,188,600 ლარი), საქონელი და მომსახურებისგან (3,345,856 ლარი, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 2,578,856 ლარი), სოციალური უზრუნველყოფისგან (5,000 ლარი) და სხვა საოპერაციო ხარჯებისგან (1,400,000 ლარი).

ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი ფაქტორია შემოსავლების წყაროების დივერსიფიკაცია. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ეყრდნობა საკუთარ შემოსავლებს (98%), სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსება (1.6%) და სამეცნიერო საქმიანობა (0.4%). ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს ფინანსურ დამოუკიდებლობას და ზრდის ადაპტაციის უნარს. საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების 85% მოდის ფასიან სწავლებაზე, ხოლო 15% სახელმწიფო სასწავლო გრანტიდან, რაც მიუთითებს პროგრამის მიმზიდველობაზე და კონკურენტუნარიანობაზე.

უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტის დინამიკა ასევე შთაბეჭედავია, რადგან 2017 წელთან შედარებით 2025 წლის ბიუჯეტი 2.4-ჯერ გაიზარდა, რაც აღწევს 159,388,060 ლარს. ეს ზრდა წარმოადგენს სტაბილური განვითარებისა და ეფექტური მართვის შედეგს. უნივერსიტეტის შემოსავლების მრავალფეროვანი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო (63.8%), სამედიცინო (34.2%), სამეცნიერო-კვლევითი (2.2%) და ეკონომიკური საქმიანობას (2.8%), უზრუნველყოფს რისკების მინიმიზაციას და ფინანსურ სტაბილურობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კლინიკური ბაზებისგან მიღებულ შემოსავლებს, სადაც პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა იძლევა 36,707,000 ლარს (74%), გ.ჟვანიას სახელობის პედიატრიის კლინიკა 10,700,000 ლარს (21.4%) და სხვა კლინიკური ბაზები ჯამურად 2,350,000 ლარს. ეს სტრუქტურა ადასტურებს უნივერსიტეტის კლინიკური საქმიანობის მაღალ ეფექტიანობას და მის მნიშვნელოვან წვლილს საერთო ბიუჯეტში.

სტუდენტთა რაოდენობის 150-ით გაზრდის ფინანსური შედეგები დადებითია, ვინაიდან პროგრამის თვითდაფინანსების მოდელი ძლიერია და შემოსავლების ზრდა პროპორციულად შეესაბამება ხარჯების მატებას. საინტერესო ფაქტია, რომ ეს გაზრდა დაგეგმილია არსებული რესურსების გადანაწილების სახით, უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამების ჯამური

კვლევის ფარგლებში, რაც ამცირდებს რისკებს და უზრუნველყოფს ეფექტური რესურსების მართვას.

განვითარების პერსპექტივები მოიცავს რამდენიმე სტრატეგიულ მიმართულებას. იგეგმება აკადემიური პერსონალის რაოდენობის შემდგომი ზრდა, რაც გაიზრდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალურ ფარდობას. უნივერსიტეტის სხელფასო პოლიტიკა ყოველწლიურად უმჯობესდება, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას და მოზიდვას. ახალგაზრდა დოქტორანტების წახალისების პროგრამა (24,000 ლარი წელიწადში სტიპენდია პლუს 10,000 ლარი კვლევისთვის) უზრუნველყოფს მომავალი თაობის აკადემიური პერსონალის მომზადებას.

ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმები მოიცავს 2025 წლის ბოლოს ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის საუნივერსიტეტო კლინიკის (120 საწოლი) გახსნას და 2027 წლისთვის 15-სართულიანი მულტიფუნქციური კლინიკის ექსპლუატაციაში შეყვანას, რომლის 3 სართულზე განთავსდება თანამედროვე სიმულაციური ცენტრი. ეს ინვესტიციები კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამის კონკურენტულ პოზიციებს.

ქვესტანდარტ 4.5 "პროგრამის ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა" მაქსიმალურად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, პროგრამა ფლობს მდგრად, მზარდ და დივერსიფიცირებულ ფინანსურ ბაზას, რაციონალურ ხარჯების სტრუქტურას, რეალისტურ განვითარების გეგმებს და საკმარის რესურსებს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის წარმატებული გაზრდისთვის. 33-ჯერადი ფინანსური ზრდა 10 წლის განმავლობაში ყოვლისმომცველად ადასტურებს პროგრამის განვითარებისა და ფინანსური მდგრადობის მაღალ ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსსუ-ის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (https://tsmu.edu/ts/images/dxp/16010403_1666010403.pdf)
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი https://tsmu.edu/ts/images/dxp/169657_1666696557.pdf ;
- თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი (https://tsmu.edu/ts/images/dxp/1696950_1666696950.pdf);
- დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი (https://tsmu.edu/ts/images/dxp/1607484_1666007484.pdf);
- თსსუ-ის პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლები (h, c index) 2024;
- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლებისთვის ჩატარებული ტრენინგების მოდულის "სწავლების, სწავლის და შეფასების თანამედროვე მიდგომები დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში" მონაწილეთა აზრის კვლევა
- AMEE საერთაშორისო სეციალისტის სერთიფიკატის მქონე და ტრენინგებში მონაწილე პროგრამის აკადემიური პერსონალი;
- თსსუ-ის სასწავლო ფართების ოდენობა მისამართების მიხედვით;
- თსსუ-თან აფილირებულ და ხელშეკრულებით დაკავშირებულ კლინიკებში არსებული სასწავლო ფართი;
- დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მიერ გამოყენებული ფართი თსსუ-თან აფილირებულ და ხელშეკრულებით დაკავშირებულ კლინიკებში;

- თსსუ-ის ბიბლიოთეკის დებულება;
- ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO პროგრამის *Research4life* ელექტრონული ბაზების (*HINARI, AGORA, OARE* და *ARDI*) მოხმარების ლიცენზია, წვდომა გამომცემლობა “Proquest”-ის ელექტრონული წიგნების ბაზაზე, წვდომა საგამომცემლო კორპორაცია *Elsevier*-ის სამ მონაცემთა ბაზაზე, ელექტრონული კატალოგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა/KOHA-ს ტექნიკური მომსახურების დოკუმენტი;
- თსსუ 2024-2025 წ.წ ბიუჯეტი, მედიცინის ფაკულტეტის 2024-2025 წ.წ ბიუჯეტი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის 2024-2025 წ.წ.ბიუჯეტი;
- ინტერვიუები ვიზიტის დროს

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- რეკომენდაცია 1

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- რჩევა 1

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

- 5.1 შიდა ხარისხის შეფასება
- 5.2 გარე ხარისხის შეფასება
- 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

შეფასეთ რამდენად აკმაყოფილებს ინსტიტუციის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს ნაწილობრივ აკმაყოფილებს არ აკმაყოფილებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

სტანდარტი სრულად აკმაყოფილებს და აღემატება მინიმალურ მოთხოვნებს. ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისა და თვითშეფასების დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში დანერგილია მრავალფუნქციური შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც შუალედურ, ისე საბოლოო შეფასების მეთოდებს. სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და პროგრესის რეგულარული მონიტორინგი ხორციელდება ელექტრონული შეფასების პლატფორმებით, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და დროულ უკუკავშირს. ინსტიტუცია აქტიურად იყენებს თანამედროვე მეთოდებს – OSCE, პორტფოლიო, პროგრეს ტესტირება, EPA (Entrustable Professional Activities) და WPBA (Workplace-Based Assessment), რომლებიც ეხმიანება საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას. მიღებული შედეგები ინტეგრირდება როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და გაუმჯობესებაში, ისე სტუდენტთა ინდივიდუალურ მხარდაჭერაში. გაზრდილი კვოტირების პირობებშიც უნივერსიტეტს გააჩნია ყველა საჭირო მექანიზმი სტუდენტთა შეფასების სისტემური და სანდო განხორციელებისთვის.

5.2 გარე ხარისხის შეფასება

სტანდარტი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს და აჩვენებს საუკეთესო პრაქტიკებს. უნივერსიტეტი რეგულარულად გადის როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებს, რასაც ადასტურებს WFME-ის სტანდარტების მიმართ შესაბამისობა.

გარე შეფასების პროცესში აქტიურად ერთვებიან უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტებისა და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები, რაც ზრდის სასწავლო პროცესის საერთაშორისო რეფერენსებსა და ნდობას.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია გარე ექსპერტიზის დასკვნები, სადაც ხაზგასმულია ინსტიტუციის პროგრესი შეფასების სისტემების განვითარებაში და მათი ინტეგრაცია სასწავლო პროცესის მართვაში. მიღებული რეკომენდაციები უნივერსიტეტში დროულად აისახება პოლიტიკასა და პრაქტიკაში, რაც მიანიშნებს არა მხოლოდ გარე მოთხოვნების ფორმალურ დაკმაყოფილებაზე, არამედ მათი შინაარსობრივ გამოყენებაზე. გაზრდილი სტუდენტთა რაოდენობის პირობებში გარე შეფასების სისტემური ინტეგრაცია დამატებით გარანტიას ქმნის ხარისხის შენარჩუნებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მულტიპლ შეესაბამისობისთვის.

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

სტანდარტი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, თვითშეფასების დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში დანერგილია პროგრამის სისტემური მონიტორინგი, რომელიც მოიცავს:

- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეგულარულ გამოკითხვებს;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და უკუკავშირის სისტემას;
- საგამოცდო პროცესის მონიტორინგს და ანალიზს;

- პროგრამის შიდა რევიზიასა და განახლებას საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად იყენებს უკუკავშირის შედეგებს სასწავლო კურსების მოდიფიკაციისა და სწავლების მეთოდების განახლებისას (მაგალითად, ინტეგრირებული სწავლების მოდულების გაძლიერება, დამატებითი პრაქტიკული კომპონენტების დამატება). აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს, რომ პროგრამა იყოს მოქნილი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ადაპტირებული როგორც შიდა საჭიროებებთან, ისე საერთაშორისო მოთხოვნებთან. გაზრდილი კვოტის პირობებში პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მრავალმხრივი მექანიზმები ქმნის რეალურ შესაძლებლობას, რომ ხარისხი და განვითარება შეუფერხებლად გაგრძელდეს.

სტუდენტთა შეფასების სტანდარტი (5.1–5.3) სრულად აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია თანამედროვე, მრავალმხრივი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი შეფასების სისტემა, რომელიც აერთიანებს როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის მექანიზმებს. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს, რომ გაზრდილი სტუდენტთა რაოდენობის შემთხვევაშიც უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს მაღალი ხარისხის სწავლება, სამართლიანი და ობიექტური შეფასების პროცესი და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 9 მარტის №23/3 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- გამოკითხვის ფორმები;
- დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- რეკომენდაცია 1

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- რჩევა 1


დანართები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე)



2. თინათინ გოგნაძე (წევრი)



3. ნინო ჯოლია (წევრი)

